პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

4

ნოემბერი

შაბათი,

1961 წ.

№ 178 (1814)

ბამოკვეთის მე-18 წელი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საოცარი გადაწყვეტილება

როგორც ცნობილია, საკავშირო პირველობის დამთავრების შემდეგ მოსკოვის „სპარტაკის“ უფროსობა თელმა კოლექტივი უნდა სწავლიდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ნოემბრის დასაწყისში ჩაეტარებინა სამი შეხვედრა, მაგრამ გაუგებარი მიზეზებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარი თქვა ვიზების გაცემაზე.

ამ არამეგობრული აქტის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლები კვლავ თვითნებობენ, ცდილობენ ხელი შეუშალონ მეგობრული კავშირის განმტკიცებას სპორტსმენთა შორის, კიდევ უფრო გაამწვავონ პოლიტიკური ატმოსფერო. სწორ შეფასებას აძლევს დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებას თვით ამ სახელმწიფოს დეპეშათა სააგენტო, როცა აღნიშნავს, რომ „გადამწყვეტი იყო არა ვიზის გაცემის ვადების ზუსტი დაცვა, არამედ პოლიტიკური მოსაზრებანი“.

ტელეფონთანაა ვრნიაჩკა-ბანია

ნ. გაფრინდაშვილმა მოიგო ყველა პარტია□ ოსტატი მ. შიშოვი მოგვითხრობს ტურნირის გარშემო





ვრნიაჩკა-ბანია. (ტელეფონით). პრეტენდენტთა ტურნირის IV ტურში, რომელიც 31 ოქტომბერს გაიმართა, კვლავ ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა ოსტატების პარტიები. გაფრინდაშვილი ეთამაშებოდა ზატულოვსკაიას, ხოლო ვოლპერტი ბორისენკოს. ზვორიკინა ისვენებდა.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩემპიონების პარტიაში თავიდანვე დაიმუხტა თამაში. რთულ პოზიციაში ყველაფერი ბეწვზე ეკიდა. მაგრამ გაფრინდაშვილმა მაინც შეძლო მეტოქის „მოტყუება“. მან გონებამახვილური მანევრით ხელთ იგდო ინიციატივა და მოსაგები პოზიცია შექმნა. პარტია ამ დღეს (ისე, როგორც სხვა ოთხი პარტია) არ დამთავრებულა. იგი გადაიდო.

მცირე გართულებების შემდეგ დაზავდნენ ბორისენკო და ვოლპერტი. ასეთივე შედეგით დასრულდა ლაზარევიჩ-შოდე დე სილანის პარტია, რომელშიც ფრანგმა მოჭადრაკემ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ტურნირის ერთ-ერთ ლიდერს. პოლიქრონიადემ მოუგო ჰუნდსტრენს, ნედელკოვიჩმა — გერმანელ რინდერს.

გადადებული პარტიების დამთავრებას უნდა გამოერკვია ლიდერთა ძირითადი ბირთვი. ქართველი ოსტატის პარტიის შესახებ თითქმის არ არსებობდა ორი აზრი — იგი მოგებული იყო. გროსმაისტერი ბოლესლავსკი, რომელიც მწვრთნელად ახლავს ზვორიკინას, ამბობდა, რომ პარტია დიდხანს არ გაგრძელდებაო. მაგრამ იგი მაინც „გაგრძელდა“, რადგან ზატულოვსკაია ჯერ თამაშობდა ზვორიკინასთან. მხოლოდ სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ, როცა მან სძლია ბელორუსიის ჩემპიონს, მიუჯდა მაგიდას სათამაშოდ გაფრინდაშვილთან. პარტია არ გაჭიანურებულა. გაფრინდაშვილმა დამჯერებლად მოახდინა უპირატესობის რეალიზება. სხვათაშორის ეს პირველი გამარჯვებაა გაფრინდაშვილისა ზატულოვსკაიასთან.

არც ლაზარევიჩმა დააკლო მონდომება გამარჯვების მისაღწევად გრესერთან პარტიაში, რომელიც რთულ პოზიციაში იყო შეწყვეტილი. მან აიძულა გრესერი დანებებულიყო. კარგად ითამაშა ამ დღეს უნგრელმა კარაკაშნემ, რომელმაც მოიგო ორი პარტია პოლიქრონიადესთან და გრესერთან. ამერიკელმა ლეინმა დაამარცხა ჰემსკერკი და ყაიმზე შეუთანხმდა კონარკოვსკას. პირველი გამარჯვება ჩაიწერა ბორისენკომ ჰემსკერკთან. ყაიმით დასრულდა ნიკოლაუ-შოდე დე სილანის პარტია.

მართალია, დაუმთავრებელი დარჩა კიდევ ერთი პარტია, მაგრამ ლიდერები გაირკვნენ. IV ტურის შემდეგ ისინი არიან ნ. გაფრინდაშვილი — 4 ქულა, მ. ლაზარევიჩი — 3,5 ქულა, ა. კარაკაშნე — 3 ქულა, ვ. ბორისენკო, ვ. ნედელკოვიჩი და ლ. ლეინი — 2,5 ქულა თვითეულს.

* * *

— პრეტენდენტები კმაყოფილი არიან შეჯიბრებისათვის არჩეული ადგილით. ვრნიაჩკა-ბანია თავისი მდებარეობით და შესანიშნავი მინერალური წყლებით ძალზე წააგავს ბორჯომს. აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ტურისტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, — მოგვითხრო ოსტატმა მ. შიშოვმა, რომელიც მწვრთნელად ახლავს ნ. გაფრინდაშვილს. — ვრნიაჩკა-ბანიაში მზიანი შემოდგომა დგას. ძალიან ბევრია ხილი. ყურძენი აქაც სცოდნიათ. საინტერესოა, რომ იუგოსლაველთა კერძები მოგაგონებენ ჩვენს, ქართულ სამზარეულოს. უმრავლესობას, ყველაფერს თუ არა, პილპილს უყეთებენ.

— ყველა მონაწილე და მწვრთნელი მოვეწყვეთ ჰოტელ „სვობოდაში“, — განაგრძო მ. შიშოვმა. ჩემი კოლეგები არიან ვოლპერტის მწვრთნელი ლენინგრადელი ოსტატი კონდრატიევი, ზვორიკინასი — გროსმაისტერი ბოლესლავსკი, ბორისენკოსი — მისი მეუღლე ოსტატი ბორისენკო და ზატულოვსკაიას — სპორტის დამსახურებული ოსტატი მაკაგონოვი. უფროსად გვყავს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი კონსტანტინოპოლსკი. მაგრამ მწვრთნელებს ერთობლივი მუშაობა ჯერ არ დაგვიწყია, რადგან ჩვენი აღსაზრდელები ერთმანეთს ხვდებიან.

— გაინტერესებთ როგორ ვატარებთ დროს? კეთილი. დილით ვემზადებით პარტიისათვის. ვარჩევთ სადებიუტო სისტემებსა თუ ვარიანტებს, რომლებიც ზაფხულში მეცადინეობის დროს გვქონდა მომზადებული. ტურის დაწყებამდე ვსეირნობთ, ვსტკბებით ბუნებით, ვსაუბრობთ. მაგრამ ნონა მონახავს პარტნიორს მაგიდის ჩოგბურთში და გატაცებით იწყებს თამაშს. იგი აქაც აქტიურობს. გუშინ მასთან დამარცხების შემდეგ პოლიქრონიადემ შენიშნა: ნონას აქაც უნდა იყოს პირველიო.

— შესანიშნავი სტარტით გაფრინდაშვილმა მოინდირა ჭადრაკის მოყვარულთა გულები. ყველა კითხულობს ვინაა და საიდანაა ეს პატარა ტანის შავგვრემანი გოგონა. გაზეთები, რომლებიც ფართოდ აშუქებენ ტურნირს, გაფრინდაშვილის შესახებ წერენ, რომ იგი უაღრესად დიდი საჭადრაკო ნიჭითაა დაჯილდოვებული. ოსტატებს, რომლებიც ესწრებიან თამაშებს, მოსწონთ ნონას გაბედული, კომბინაციური სტილი და მაყურებლისათვის თითქოს მსუბუქი, იოლი თამაში. ჭადრაკის რიგითმა მოყვარულებმა ნამდვილად „შეაწუხეს“ იგი. ყველა სთხოვს ავტოგრაფს. არ ვიცოდი, თურმე ყოფილან ისეთებიც, რომლებიც სპეციალურად აგროვებენ გამოჩენილ ადამიანთა ხელმოწერას. ასეთებს იერიში მიაქვთ ტურნირის ყველა მონაწილეზე.

— იუგოსლავიის პრესა დიდ იმედებს ამყარებდა ნედელკოვიჩსა და ლაზარევიჩზე. პირველმა ჯერჯერობით ვერ გაუმართლა მათ იმედები. მეორემ გამარჯვებისადმი მართლაც დიდი მისწრაფება გამოავლინა. ამჟამად იგი ნონას მთავარი კონკურენტია. ლაზარევიჩთან პაექრობა არც თუ იოლი საქმეა.

—ტურნირი მიმდინარეობს დიდ საკონცერტო დარბაზში. შენობაზე გამოკრულია ტურნირში მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო ალმები. ვთამაშობთ ასეთი განრიგით: ორი ტური, გადადებული პარტიების დამთავრება, კიდევ ორი ტური და კიდევ გადადებული პარტიების დამთავრება, შემდეგ დასვენების დღე.

— მონაწილეთა შორის ნამდვილი მეგობრული ატმოსფეროა.

— მოითმინეთ, ნონაც აქ არის, — გვითხრა შიშოვმა, როცა დავამთავრეთ საუბარი. — ჩვენი დრო თბილისის დროს სამი საათით ჩამორჩება. წუხელ გვიან დავბრუნდით თამაშიდან და არ მინდოდა მისი შეწუხება, მაგრამ თვითონ გაიღვიძა.

რასაკვირველია, ჩვენს საამაყო მოჭადრაკეს, საქართველოს ჭადრაკის ყველა გულშემატკივრის სახელით მივულოცეთ შესანიშნავი სტარტი. მან გვთხოვა ყველა კეთილისმსურველისთვის მადლობა გადაგვეხადა.

— მეძნელება რაიმე ვთქვა გამარჯვების პრეტენდენტებზე, — გვიპასუხა გაფრინდაშვილმა. — ჩემი ლიდერობა ჯერ არ არის მყარი, რადგან გვერდში მოჭადრაკეთა მეტად ძლიერი ჯგუფი მომყვება. ვგრძნობ, რომ აქ ყველა პარტია მოითხოვს დაძაბულ შრომას. მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ და თამაშის დიდი სურვილიც მაქვს.

* * *

სურათზე: ნ. გაფრინდაშვილის (მარჯვნივ) შეხვედრა პოლონელ გ. კონარკოვსკასთან.

მდგომარეობა IV ტურის შემდეგ

მონაწილენი	№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ნ. ჰუნდსტრენი (მონღოლეთი)	1	X	0	1/2	0													
ა. რინდერი (გფრ)	2	1	X	0														0
ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია)	3	1/2	1	X													0	1
ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი)	4	1			X											1/2	0	0
გ. გრესერი (აშშ)	5					X									1	1/2	0	0
შ. შოდე დე სილანი (საფრ.)	6						X							1/2	0	1/2	1/2	
გ. კონარკოვსკაა (პოლონეთი)	7							X					0	1/2	1/2	*		
ფ. ჰემსკერკი (ჰოლანდია)	8								X			1	0	0	0			
ლ. ვოლპერტი (სსრ კავშირი)	9									X	1	0	0	1/2				
ტ. ზატულოვსკაია “	10									0	X	1	0					
კ. ზვორიკინა “	11								0	1	0	X						
ნ. გაფრინდაშვილი “	12							1	1	1	1		X					
ვ. ბორისენკო “	13						1/2	1/2	1	1/2				X				
ლ. ლეინი (აშშ)	14					0	1	1/2	1						X			
ა. ნიკოლაუ (რუმინეთი)	15				1/2	1/2	1/2	*								X		
ვ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია)	16			1	1	1	1/2										X	
ა. კარაკაშნე (უნგრეთი)	17		1	0	1	1												X

შენიშვნა: * — პარტია გადადებულია.

არნახულ სიმაღლეზე

იაპონიაში დამთავრდა საბჭოთა მძლეოსნების საჩვენებელი გამოსვლები, რამაც მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა. კვლავ წარმატებით გამოვიდა მსოფლიო რეკორდსმენი ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელი, მან დაძლია 2 მ 20 სმ. ასეთი შედეგი ამ ქვეყანაში დღემდე არავის უჩვენებია.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 6 ნოემბერს.

საწარმოო ტანვარჯიში სულ უფრო მკვიდრად იკიდებს ფეხს ცენტრალური ტელეგრაფის ფიზკულტურულ კოლექტივში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი, სპორტის ოსტატი ტ. ჩაჩხიანი მეცადინეობას ატარებს ტელეგრაფის თანამშრომლებს შორის.

ფოტო გ. თარალაშვილისა.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

კარგა ხანია, რაც კლასიკური ჭიდაობის მოყვარულები სამართლიანად უჩიოდნენ იმას, რომ სპორტის ამ სახეობამ დაკარგა სანახაობრივი ხასიათი. ცნობილ ოსტატთა ბრძოლების უმრავლესობა ტარდებოდა ყოველგვარი ინტერესის (და მაშასადამე, ილეთების) გარეშე და ხშირად მოსაწყენ ძიძგილაობად იქცეოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჭიდაობის ყველაზე უფრო ეფექტური ხერხები სრულდება დგომში, მაგრამ სამწუხაროდ, ბრძოლის ჩოქბჯენში მოგების ტაქტიკა დიდი ხანია, რაც მეტი პრივილეგიით სარგებლობს. ხშირი იყო ასეთი მაგალითები: პირველ 6 წუთს სპორტსმენები უშედეგოდ ამთავრებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ, ჩოქბჯენში ერთადერთი ილეთის ჩატარებით აღწევდნენ სასურველ გამარჯვებას. ასეთი სქემით იბრძოდნენ ბევრი ცნობილი მოჭიდავეები, მათ შორის გ. შატვორიანი, ვ. ფეფელოვი, რ. ვარდანიანი, ო. კარავაევი, ვ. ნიგლასი, ნ. სოლოვიოვი, ი. კორშუნოვი და სხვ.

წამყვანი მწვრთნელები და ჭიდაობის საკავშირო ფედერაცია დიდხანს ეძებდნენ ბრძოლის გააქტიურების საშუალებებს და აი, ბოლოსდაბოლოს შემოღებულ იქნა ზოგიერთი სიახლე, რომელთა გათვალისწინებითაც ჩატარდა უკანასკნელი საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

რაში მდგომარეობს ეს სიახლენი, ჩვენ უკვე კარგად ვიცით. ჯერ ერთი, შემცირდა ჭიდაობის დრო 12-დან 10 წუთამდე. შემდეგ, შეჯიბრების მსვლელობა დაიყო ორ, ხუთწუთიან მონაკვეთად, მათ შორის 30-წამიანი შეყვენებით, რომლის დროსაც მწვრთნელს შეუძლია მოჭიდავისათვის სხვადასხვა რჩევა-დარიგების მიცემა. ახალი წესების მიხედვით, ბრძოლა ძირითადად დგომში წარმოებს. თუ ერთ-ერთი მოჭიდავე აღმოჩნდება ჩოქბჯენში და ამით ბრძოლის ტემპი შესამჩნევად დაეცემა, შეხვედრა წყდება და ბრძოლა კვლავ დგომში გრძელდება. საგრძნობლად გაიზარდა მომთხოვნელობა აქტიური ჭიდაობისადმი. თუ სპორტსმენი არ ცდილობს ხერხების ჩატარებას და მხოლოდ თავს იცავს მოწინააღმდეგის შეტევისაგან, მას ეძლევა გაფრთხილება (ერთი წუთის გასვლის შემდეგ), მეორე გაფრთხილება კი დამარცხების ტოლფასია. უწინ სპორტსმენს დამარცხებას მესამე გაფრთხილების შემდეგ აძლევდნენ, და ეს საკმაოდ იშვიათი შემთხვევა იყო, ხალიჩიდან პირველივე გაქცევა თავდაცვის მიზნით, იწვევს შენიშვნას, ხოლო მეორე — გაფრთხილებას.

აი, სწორედ ამ წესებზე დაყრდნობით ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში და კერძოდ, მჩატე, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონის სპორტსმენთა ტურნირი ტაშკენტში. ოთხი დღის განმავლობაში გამართულ 200 შეხვედრიდან 22 მოჭიდავეს მიესაჯა დამარცხება პასიურობისათვის, ოთხ შემთხვევაში დამარცხებულად იქნა მიჩნეული ორივე მოჭიდავე, სამაგიეროდ 99 შეხვედრა დამთავრდა წმინდა გამარჯვებით, 16—აშკარა უპირატესობით და 44 — ქულებით, ხოლო 19 შეხვედრაში იქნა ფიქსირებული ფრე.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჭიდაობა უკვე ხარისხობრივად შეიცვალა. მას შეემატა სანახაობრივად მდიდარი მხარეები, იგი გახდა უფრო საინტერესო, დაძაბული. მაგრამ ჩემპიონატმა ისიც გვიჩვენა, რომ შეჯიბრების ბევრი მონაწილე ამ სიახლეებს მოუმზადებელი შეხვდა.

აი, მაგალითად, XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ნ. სოლოვიოვი პირველსავე შეხვედრაში მოიხსნა პასიურობისათვის. ამავე მიზეზით ორჯერ განიცადა წმინდა დამარცხება საკავშირო პირველობის მრავალგზის პრიზიორმა ბ. ნიგლასმა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ნიგლასს უკვე მრავალი წელია, რაც არ წაუგია შეხვედრა წმინდად. პასიურობისათვის დამარცხებები მიესაჯათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ი. კორშუნოვს და გასული წლის ჩემპიონატის პრიზიორს ვ. ფეფელოვს ერთმანეთს შორის ბრძოლაში. იგივე სურათი განმეორდა ნ. პარხომენკოსა და ი. კოლუპოვის შეხვედრაში და სხვ.

დგომში საკმაოდ უფერულად და ერთფეროვნად იბრძოდნენ ის მოჭიდავეებიც კი, რომლებმაც ჩემპიონატში წარმატებებს მიაღწიეს. შედარებით ხშირად სრულდებოდა გდებები ხიდურით. სამაგიეროდ, მცირე იყო დაკიდებით გდებები და მოგვერდები და თითქმის არ სრულდებოდა ბიძგით გდებები.

როგორ გამოვიდნენ ამ შეჯიბრებაში საქართველოს მოჭიდავეები? მჩატე წონაში ზ. ნუცუბიძემ მეხუთე ადგილი დაიკავა. არ გაუმართლა მის თანაგუნდელს ო. ეგაძეს, რომელსაც მსაჯებმა არ ჩაუთვალეს წმინდა გამარჯვება ვ. გრიგორიევზე, რამაც ხელი შეუშალა მას საპრიზო ადგილზე გასვლაში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეგაძე შესაფერისად არ იყო მომზადებული შეჯიბრებისათვის. ამ ნიჭიერმა სპორტსმენმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს დგომში ბრძოლის დაუფლებას. გამოუცდელობის მიზეზით გადაინაცვლა მძიმე წონის მოჭიდავემ ა. ხაბეიშვილმა მეხუთედან მეცხრე ადგილზე. თითქმის მოგებულ შეხვედრაში დამარცხდა წმინდად, სპარტაკელ გონჩაროვთან საქართველოს გუნდის წევრი გ. მინასიანი. ტექნიკურად მოუმზადებლები იყვნენ ჩვენი სხვა დანარჩენი მოჭიდავეებიც, კერძოდ, ფ. გველესიანი, გ. ხაბულიანი, გ. აჯიაშვილი, დ. ბალანჩივაძე, ო. სუხიაშვილი, ო. მელაშვილი, გ. ჭითავა და სხვ. მწვრთნელებმა სერიოზულად უნდა გადასინჯონ თავიანთი მუშაობის სისტემა, სასწავლო-საწვრთნელი პროცესი და მხედველობაში მიიღონ ის სიახლენი, რომლებმაც ბევრად უფრო საინტერესო გახადეს კლასიკური ჭიდაობა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მომდინარე წლის დეკემბერში თბილისში გაიმართება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

ი. ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲝᲕᲘ,
სსრ კავშირის პირადი პირველობის მთავარი მხაჯი, დოცენტი.



✦

საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა აკრობატიკაში ვ. ლიტვინოვმა დიდი გამარჯვება მოიპოვა წელს საკავშირო ასპარეზზეც — ვერცხლის მედალი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარჯვნივ — ვ. ლიტვინოვი ასრულებს ჰორიზონტალურ წონასწორობას ხელებზე. მარცხნივ — ჩვენი გუნდის წარმომადგენელს ულოცავენ მეორე ადგილსა და ვერცხლის მედალს.

ფოტო ი. ეგნატაშვილისა.

★

ᲩᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ

აფხაზეთი — მზისა და ლურჯად მოლივლივე ზღვის სანაპირო ქვეყანა ათეულ ათასობით ტურისტს იზიდავს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ქვეყნების ყველა კუთხიდან.

აფხაზეთის მკვიდრნი სწავლობენ თავიანთი მხარის მდიდარ ისტორიულ წარსულს. მათი საქმიანობის ხელშემწყობად აფხაზეთის სპორტკავშირის საბჭოსთან შექმნილია ტურიზმის სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ტურისტულ ლაშქრობათა და კარსტულ სიღრმეებში ჩასვლათა არაერთგზის მონაწილე ა. წიქრიძე.

ა. წიქრიძე რესპუბლიკის მოსახლეობაში ტურიზმის ფართოდ დანერგვის დიდი პროპაგანდისტია. ტურიზმის სექციის გარშემო შემოკრებილია ფართო აქტივი. მათ შორის არიან მსახიობი ნ. მიქაშავიძე, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ბ. ზაურუმოვი, მეცნიერ-მუშაკი ბ. გვასალია, წარმოების დარგის მუშაკი ი. გრიგორიევა და მრავალი სხვა. მარტო სოხუმში ამ ბოლო ხანებში მომზადდა 60 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, რომლებმაც გაიარეს 80-საათიანი პროგრამა და ახლა უკვე თავიანთ საწარმოებსა და დაწესებულებებში შემოიკრიბეს გარშემო ტურიზმის მოყვარულნი. თითქმის ყოველ კვირას ეწყობა გასვლები ქალაქგარეთ ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების მიზნით, ტურისტული ლაშქრობები... სოხუმის საწარმოთაგან, სადაც ტურისტული მუშაობა მთელი ძალით სჩქეფს, განსაკუთრებით გამოირჩევიან თამბაქოს ფაბრიკა და საკონსერვო ქარხანა.

ტურიზმის სექციის ხელმძღვანელის, ა. წიქრიძის მაგიდაზე ჩვენ მრავალ ფოტოფირს მოვკარით თვალი, სადაც ტურისტებს აღუბეჭდიათ სალაშქრო ბილიკებზე ნახული ღირსშესანიშნავი ადგილები. ფირები დაულაგებიათ ცალცალკე, ჩატარებული მარშრუტების მიხედვით, რომლებიც „წითელი კლდეების“ რაიონში, ჩარგალში, სოხუმჰესის რაიონში, ბასლათზე, გელათში, ვარძიაში და შორეულ კარპატებში მოწყობილი ლაშქრობების შესახებ მოგვითხრობენ.

ტურიზმის სექცია დიდ მუშაობას ატარებს აგრეთვე ბავშვებთანაც. ამ ზაფხულს აფხაზეთის 20 მოსწავლე მონაწილეობდა ტურისტთა და მხარეთმცოდნეთა საკავშირო შეკრებაზე, რომელიც იმერკარპატიის სოფელ უკლინში ჩატარდა. ახლა კი მათ მიერ გაკეთებული ჩანაწერები, სამარშრუტო რუკები და სხვა მოპოვებული მასალები სოხუმის პიონერთა სახლის სტენდებს ამშვენებენ.

ტურიზმის სექცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კარსტული გამოქვაბულების, ხეობების, მწვერვალებისა და სიღრმეების შესწავლას. აი, ამ მარშრუტების მოკლე ნუსხა: კელასურის ციხე-გამოქვაბული, აგცასა და მდ. შავწყალას სათავესთან არსებული გამოქვაბულები, ამტყელის ტბა, მწვერვალი ჩუმკუზბა და სხვ. სოხუმელმა მოლაშქრეებმა გ. ანჩაბაძემ, ა. წიქრიძემ, ო. ხაგბამ, გ. წულაიამ და სხვებმა შეაღწიეს აგცას გამოქვაბულში და აღმოაჩინეს ძველი წარწერები, მხატვრობა, ასომთავრული წარწერები. სოხუმელებმა დალაშქრეს მწვერვალი ჩუმკუზბა, სადაც ისინი დიდი ინტერესით გაეცნენ ზონალობას დაწყებული სუბტროპიკებიდან ალპიურ მდელომდე. მრავალ ტურისტს იზიდავს არათუ აფხაზეთში, არამედ საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა ამტყელის ტბა, რომელიც 1891 წელს გრანდიოზული ჩამონგრევების შედეგად წარმოქმნილა...

მრავალი მარშრუტით უვლიათ აფხაზეთის ტურისტებს, მრავალი ახალი გამოქვაბული აღმოუჩენიათ და აღუწერიათ. ახლაც სალაშქრო ბილიკებზე დგანან ისინი, ადგენენ ახალ მარშრუტებს, გეგმავენ ახალ ლაშქრობებს.

აფხაზეთის ტურისტებს კიდევ ბევრი საინტერესო ღონისძიების ჩატარება აქვთ განზრახული. ლაშქრობა მშობლიურ მხარეში გრძელდება!

გ. ᲘᲠᲘᲜᲐᲣᲚᲘ

ხვდებიან:
„ტორპედო“
„ლოკომოტივი“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

? ვინ ითამაშებს „ბერეკეტში“?

კვლავ — 1:0

თბილისის „ლოკომოტივისა“ და ...ლნის „კალევის“ მეორე წრის ...ხვედრას დიდი მნიშვნელობა ...ონდა ორივე კოლექტივისათვის. ...ების შემთხვევაში ესტონელი ...ტსმენები მტკიცედ უდგებოდ...ნ სათავეში გათამაშების ცხრილს ...და „ა“ კლასში გადასვლის რეა...ლურ შანსებს ინარჩუნებდნენ. გა...ტრკვევა „ლოკომოტივსაც“ ესაჭ...ოებოდა, როგორც მორალური ...ეალბილტაცია.

თბილისელებმა ამჯერად აირჩიეს შეტევითი ტაქტიკა და სწორედ ამ მიზნით შემადგენლობაში შეიყვანეს ახალგაზ. მან მართალია, შეხვედრა ბოლომდე ვერ დაამთავრა (ტრავმის გამო იგი მეორე ნახევარში მოედნიდან გავიდა), მაგრამ აქტიური თამაშით ხელი შეუწყო გუნდს წარმატების მიღწევაში. შეხვედრის პირველსავე წუთებში (მე-3 და მე-8 წუთებზე) მან ორჯერ ვერ გამოიყენა კარის აღების რეალური შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო. ისინი უფრო მსუბუქად, აზრიანად და, რაც მთავარია, მწვავედ უტევდნენ ესტონელთა კარს.

მე-20 წუთზე „კალევის“ კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა, რომელიც კარგად გაითამაშეს მუმლაძემ და ფირცხალავამ. ამ უკანასკნელმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი მოხვდა კარის წინ აღმართულ „კედელს“ და მიუგორდა იქვე თავისუფლად მდგომ ივანოვს, რომელმაც ნელი და ზუსტი დარტმით გახსნა კიდეც ანგარიში.

მატჩის მეორე ნახევარში ესტონელებმა თამაშში შემოიყვანეს ნახევარმცველი აკინი, რომელმაც შესამჩნევად „შეჰკრა“ თავისი გუნდის თამაში. ესტონელებმა მიაღწიეს ერთგვარ ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ თბილისელები უფრო სახიფათოდ უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს. ასე მაგალითად, 62-ე წუთზე სიამაშვილის ძლიერი დარტყმა მოხვდა ძელს. რამდენიმე წუთის შემდეგ მეკარე ბელიაევმა პირდაპირ ფეხებიდან აართვა ბურთი აპრესიანს.

შეხვედრა მოიგო თბილისის „ლოკომოტივმა“—1:0. „ა“ კლასის პრეტენდენტთა ტურნირში დარჩა ერთადერთი მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის. ქუთაისის ფეხბურთელებს წარმატების მისაღწევად შეხვედრის ფრედ დამთავრებაც აწყობთ.

ბ. ჟორჟია,
კიშინიოვი, ჩვენი სპეც. კორ.

ჩემპიონი წარუმატებლად გამოდის

საქართველოს 1961 წლის პირველობა ფრენბურთში

უკვე რამდენიმე დღეა, რაც დაიწყო 1961 წლის რესპუბლიკური ჩემპიონატი ფრენბურთში. როგორც გასულ წელს, ისევე მიმდინარე ჩემპიონატში მონაწილეობს ქალთა და ვაჟთა 8-8 გუნდი. გუნდები დაყოფილნი არიან ქვეჯგუფებად.

წინასწარი თამაშების პირველ დღეს ყველასათვის მოულოდნელად თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა — გასული წლის ჩემპიონმა განიცადა პირველი დამარცხება აჭარის გუნდთან. მათი ეს დამარცხება აიხსნება არა იმით, რომ აჭარის ქალთა ნაკრების ოსტატობა ძალზე გაიზარდა, არამედ იმით, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდიდან წავიდნენ მოთამაშეები, რომლებიც შეადგენდნენ გუნდის ბირთვს. დანაკლისის შევსებაზე კი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არაფერი უღონიათ. და აი შედეგიც. ამ დღეს ქალთა გუნდების მეორე მატჩის დროს, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აფხაზეთის ფრენბურთელები, მაყურებლები მოწმენი იყვნენ დაძაბული და საინტერესო ბრძოლისა. დედაქალაქის გამოცდილ ფრენბურთელებს დიდი ძალის დახარჯვა მოუხდათ, რომ გამარჯვებისათვის მიეღწიათ. ეს მათ შეძლეს მხოლოდ მეხუთე — გადამწყვეტ პარტიაში — 15:9.

ფრენბურთელ ქალთა შეხვედრების მეორე ტურში კვლავ წარუმატებლად ითამაშა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა. ამჯერად ეს გუნდი დამარცხდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებთან — 0:3 (9:15, 0:15, 3:15). კვლავ კარგად ითამაშა აჭარის ქალთა კოლექტივმა, რომელმაც მძიმე ბრძოლაში საპატიო გამარჯვება მოიპოვა ქუთაისელ ფრენბურთელებთან. შეხვედრის შედეგია — 3:2. (17:15, 11:15, 11:15, 15:12, 15:12).

გორისა და აფხაზეთის კოლექტივების შეხვედრაში გაიმარჯვეს (3:1) ზღვისპირელმა სპორტსმენებმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:0 სძლიეს რუსთაველებს.

ფრენბურთელ ვაჟთა შეხვედრების პირველი ორი ტურის შემდეგ პირველ ქვეჯგუფში ორ-ორი მოგება და ფინალში გასვლა გაინაღდეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელებმა, რომლებმაც მოუგეს აფხაზეთისა (3:1) და ქუთაისის (3:0) კოლექტივებს და რუსთავის სპორტსმენებმა. მათ I ტურში ანგარიშით 3:0 მოუგეს ქუთაისელებს, ხოლო მეორე ტურში 2-საათიანი ბრძოლის შედეგად გამარჯვება მოიპოვეს აფხაზეთის ფრენბურთელებზე (3:2).

მეორე ქვეჯგუფში ფინალში გასვლა გაინაღდეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა, მათ აქვთ ორი მოგება აჭარის გუნდთან (3:1) და პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან (3:0). მეორე ფინალისტი უნდა გარკვეულიყო გუშინ გვიან საღამოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და აჭარის ფრენბურთელთა შეხვედრაში.

ლ. თუშიშვილი

სურათზე: საქართველოს სსრ 1961 წლის ჩემპიონატში გამარჯვებული თბილისის ცხენოსანთა გუნდი. მარცხნიდან — გ. ჯაფარიძე, კ. მანჯავიძე, კ. გაშიბაიაზოვი, მ. ერისთავი (მწვრთნელი), ა. დგებუაძე და ვ. პარონიანი.

ფოტო ლ. ხერხეულიძისა

ფინალურ ტურნირზე

კრასნოდარში გრძელდება რუსეთის ფედერაციის ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირი. მორიგ მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი „თერგი“ (გროზნო) და „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი). რკინიგზელებმა შეძლეს ლიდერის დამარცხება ანგარიშით 2:1. კუბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ ასეთივე ანგარიშით ძლია ხაბაროვსკის არმიელთა გუნდს, ხოლო კალინინის „ვოლგამ“ მოუგო მეორე ლიდერს — კიროვის „დინამოს“ — 2:1.

მომდევნო ტურის მატჩებმა ისევ დაწინაურა გროზნოს კოლექტივი. მან დაამარცხა ხაბაროვსკის არმიელები — 2:0 და კვლავ სათავეში ჩაუდგა გათამაშებას.

ახალ წარმატებას მიაღწიეს ჩელიაბინსკელმა ფეხბურთელებმა. კალინინის „ვოლგასთან“ მატჩში მათ სამი მშრალი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს. „კრილია სოვეტოვმა“ დაამარცხა (4:1) კიროვის „დინამო“.



სურათზე: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამბოში, საქართველოს გუნდის წევრი თ. არაბული (თეთრ ჩოხაში) ფინალურ ბრძოლას უგებს ბელორუს ვ. შეიკოს.

ფოტო ი. იუნაევისა.

ორი გამარჯვება

როგორც ვიუწყებოდით, ამ რამდენიმე ხნის წინათ ბაქოში ჩატარებულ ხელბურთელთა (7×7) ტურნირში, რომელშიც ბაქოს ორი კოლექტივი, მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები მონაწილეობდნენ, თბილისელებმა პირველი ადგილი მოიპოვეს. ამის შემდეგ მოსკოველები ჩვენს დედაქალაქსაც ეწვივნენ და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელებთან ორი მატჩი ჩაატარეს.

პირველ მატჩში მოსკოველები თავისი საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ. მათ რიგებში იყვნენ სპორტის ოსტატები — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები რიქკოვი და ირიანოვი. თბილისელები კი თავისი ბომბარდირის, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრის, სპორტის ოსტატ ჯ. ცერცვაძის გარეშე გამოვიდნენ მოედანზე. ამის მიუხედავად თბილისელები შესანიშნავად ეუფლებიან მოედანს და პირველი ათი წუთის განმავლობაში მოსკოველთა ნახევარზე სახლდებიან. ამან შედეგიც არ დააყოვნა და უკვე მეოთხე წუთზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის კაპიტანი ანთაძე ბურთს მოსკოველთა კარში ათავსებს, სამოდე წუთის შემდეგ ბაგრატიონი ანგარიშს 2:0-მდე ზრდის, შემდეგ ისევ ანთაძეს გააქვს გოლი. თანდათან თამაში გათანაბრდა, მოსკოველები უფრო ორგანიზებულად ახერხებენ თბილისელთა კარისაკენ იერიშების წარმართვას და ორი ბურთის გაქვითვას ახერხებენ. მოსკოველები მე-16 წუთზე ანგარიშს ჯერ ათანაბრებენ, შემდეგ კი ორი ბურთით ზრდიან — 5:3.

სტუმრების მიერ თამაშში შეტანილ გარდატეხას მასპინძლებში დაბნეულობა არ შეუტანია, პირიქით, ჯერ კოპალეიშვილი შესანიშნავი ცრუმოძრაობით ბურთს მოსკოველთა კარის დაბლა კუთხეში ათავსებს, შემდეგ კი შელეგია მოსკოველთა მეკარის პირისპირ მარტოდ რჩება და ანგარიში თანაბრდება — 5:5. პირველი ნახევარი დამთავრდა — 8:7 თბილისელთა სასარგებლოდ.

ისევე, როგორც პირველ ნახევარში, მეორე ნახევარშიც კარი მეოთხე წუთზე იქნა აღებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად გოლის ავტორი მოსკოველი ხელბურთელი იყო: თბილისელები დაჯარიმდნენ პენალტით, რომლის რეალიზაცია ირიანოვმა კარგად მოახერხა და ანგარიში გახდა — 8:8. შემდეგ თანდათან თბილისელები ეუფლებიან მოედანზე ინიციატივას და იგებენ მატჩს — 18:12.

გუშინ ჩატარდა ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა. ამჯერადაც გამარჯვება თბილისელებმა მოიპოვეს — 22:19. აღსანიშნავია, რომ თბილისელმა ჯ. ცერცვაძემ 10 ბურთი გაიტანა მოსკოველთა კარში.

ჯ. ენუქიძე.

ლოგიკურ კუნძულზე!

ჩვენი გაზეთის მკითხველები პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეები ჭიათურელი ჯ. გაფრინდაშვილი, ბათუმელი გ. ჭანტურია და ქუთაისელი ლ. ჯახუა გვთხოვენ გავაცნოთ გამოჩენილი ამერიკელი გროსმაისტერის რობერტ ფიშერის სპორტული ბიოგრაფია, მისი შეხედულება ჭადრაკზე, დიდ მოჭადრაკეებსა და თავის მომავალზე.

თვითონ ფიშერი მოგვითხრობს: „მე დავიბადე 1943 წლის 9 მარტს ბრუკლინში (ნიუ-იორკი). ჭადრაკის თამაში მასწავლა დამ, როცა ექვსი წლისა ვიყავი. თამაში ძალიან მომეწონა. უკვე ორი წლის შემდეგ სისტემატურად დავდიოდი ბრუკლინის საჭადრაკო კლუბში, სადაც კიდეც მოვიპოვე პირველი გამარჯვებები.

თერთმეტი წლისა ვიყავი, როცა გავიმარჯვე მანჰატენის საჭადრაკო კლუბის ჩემპიონატში, სადაც სუსტი მოწინააღმდეგენი მყავდნენ. ერთი წლის შემდეგ უკვე ძლიერი მოჭადრაკე ვიყავი. 1957 წელს მოვიპოვე ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის ტიტული, გავასწარი რა რეშევსკის, 1958, 1959 და 1960 წლებშიც ვიყავი აშშ-ს ჩემპიონი.

1958 წელს პორტოროუში ზონალური ტურნირის წინ საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ მიმიწვია მოსკოვში რამდენიმე პარტიის სათამაშოდ ცნობილ საბჭოთა ოსტატებთან. ამ მგზავრობამ დიდი სარგებლობა მომცა“.

1959 წელს, როგორც ცნობილია, ფიშერი მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირსა და ციურიხის საერთაშორისო ტურნირში. პირველში მან მეხუთე-მეექვსე ადგილები, ხოლო მეორეში მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო. ბლედის საერთაშორისო ტურნირის წინ ფიშერმა პასუხი გასცა ჟურნალისტებს მრავალ შეკითხვაზე.

შეკითხვას, თუ როგორ ატარებს დღეებს ჭაბუკი გროსმაისტერი, როცა არ მონაწილეობს ტურნირში, ფიშერმა უპასუხა:

— მიყვარს კითხვა, რადიოსა და კარგი ფირფიტების მოსმენა. სკოლაში აღარ ვსწავლობ, რადგან სწავლის გაგრძელება — დროის დაკარგვას ნიშნავს. მინდა გავხდე მსოფლიო ჩემპიონი და ამ მხრივ სკოლას არაფრის მოცემა არ შეუძლია. ჩვენს მკითხველებს გააკვირვებს ფიშერის შეხედულება სწავლაზე. ალბათ, ნიჭიერი მოჭადრაკე ამერიკული ცხოვრების თავისებური მსხვერპლია.

შეკითხვაზე, რამდენ საათს ანდომებს იგი ჭადრ[illegible] დღეში, ფიშერმა უპასუხა:

— ზოგჯერ მთელ დღეებს თავაუღებლად ვ[illegible] მაგრამ არის დღეები, როცა ჭადრაკს სრულებით არ[illegible] კარები.

ყველა დროის უდიდეს მოჭადრაკედ ფიშერს მიაჩ[illegible] კაპაბლანკა. შეკითხვას, თანამედროვე მოჭადრაკეთ[illegible] რის ვინ მიაჩნია უძლიერესად, უპასუხა:

— ძნელია დააზუსტო. ბოტვინიკი და ტალი — [illegible] კეთილსინი არიან, მე მომწონს აგრეთვე სპასკი, ბაგ[illegible] პეტროსიანი ყველაზე უძლიერესად მიმაჩნია. პეტ[illegible] სიანის სუსტი მხარეა — მშვიდობისმოყვარეობა [illegible] მზადყოფნა დასჯერდეს ყაიმს, ისეთ მოწინააღმდეგ[illegible] თანაც კი, რომლებსაც იგი ადვილად მოუგებს. თითქ[illegible] მას აკლია რწმენა თავის ძალებში.

— შეიძლება თქვენც გაკლიათ ეს რწმენა, — ჰკ[illegible] ხეს ფიშერს.

— არავითარ შემთხვევაში! მე ძალიან მინდა გავხ[illegible] მსოფლიო ჩემპიონი. მე შესანიშნავი მონაცემები მაქ[illegible] ჩემს ასაკში არც ერთ მსოფლიო ჩემპიონს არ ჰქონ[illegible] ასეთი წარმატებები. შეიძლება, უკვე 1963 წელს გავხდე მსოფლიო ჩემპიონ[illegible]

— ასე მალე?

— რატომაც არა, — უპასუხა ამერიკელმა.

— როგორ მოგწონთ მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის საერთაშ[illegible] რისო საჭადრაკო ფედერაციის მიერ შემუშავებული ბრძოლის წესები, — შ[illegible] ეკითხენ ფიშერს.

— მსოფლიო ჩემპიონობის გათამაშების თანამედროვე წესები კარგია.

შემდეგ ფიშერმა თქვა:

— რუსებს დიდი უპირატესობა აქვთ,—ისინი სარგებლობენ თავიანთ[illegible] ფედერაციის მხარდაჭერით. სხვა ქვეყნის მოჭადრაკეებმა კი უნდა იბრძოლ[illegible] ცხოვრების სიძნელეებთან. ეს არ არის ადვილი.



ჭადრაკის რომელ მოყვარულს არ წაუკითხავს მ. ვადბოლსკის წიგნი „ჭადრაკი 1.400 წლის მანძილზე“, რომელიც ქართულად გამოიცა ამ ორიოდე წლის წინათ? ჭადრაკის ისტორიის მკვლევარი ახლაც განაგრძობს მუშაობას ბრძნული თამაშის საიდუმლოებათა წარსულის შესწავლაზე.

მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ მ. ვადბოლსკი პროფესიით მხატვარია. იგი სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ერთ-ერთი ძველი წევრია. მის სახლში ნახავთ ფერებში შესრულებულ პ. მორფის ხ. კაპაბლანკას, ე. ლასკერის პორტრეტებს და საჭადრაკო თემებზე სხვა ნამუშევრებს. სურათზე კი თქვენ ხედავთ მას ტელოსთან—„ივანე მრისხანეს სიკვდილი ჭადრაკთან“ ასლის შესრულების დროს.

საგარეჯო

ერთ თვეს მიმდინარეობდა საგარეჯოს რაიონის პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 26 მოჭადრაკე მონაწილეობდა. 23 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ო. ლალიაშვილმა, მეორე ლ. კუჭუაშვილმა (22 ქულა), მესამე — რ. ჯარიაშვილმა (20,5 ქულა).

ხ. გოგოჭური

თერჯოლა

ქვედა და ზედა სიმონეთის, ღვანკითის, კვახჭირის, ალისუბნისა და რაიონის სხვა სოფლების კოლმეურნე ფეხბურთელთა გუნდები იბრძოდნენ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობაზე. თითქმის ერთთვიანი ბრძოლის შემდეგ, გამოირკვა ჩემპიონი — ღვანკითის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი (მწვრთნელი კ. რობაქიძე). მეორე ადგილი წილად ხვდა ჩხარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას, მესამე — კვახჭირის კოლმეურნეებს.

ლ. ჯიშიაშვილი

გადამწყვეტი მატჩი სოფიაში

12 ნოემბერს სოფიაში ერთმანეთს შეხვდებიან ბულგარეთისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები. თუ ფრანგები ამ შეხვედრას ფრედ მაინც დაამთავრებენ, ისინი გადიან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. ამიტომ ბულგარელები მხოლოდ მოგებისაკენ მიისწრაფიან და ყოველმხრივ ემზადებიან ამ გადამწყვეტი მატჩისათვის.

ამ დღეებში სოფიის „ნაროდენ სპორტმა“ სთხოვა „იუმანიტეს“ ფეხბურთის მიმომხილველს პასევანს დაეხასიათებინა საფრანგეთის ახლანდელი ნაკრების თამაში. ფრანგმა მიმომხილველმა თავის გუნდს დაბალი შეფასება მისცა. მეკარე ბერნარი, რომელიც ითამაშებს სოფიაში, ამჟამად კარგ ფორმაშია, მაგრამ დაცვა უხეშ შეცდომებს უშვებს. შედარებით სტაბილურ თამაშს უჩვენებს ვენდლინგი (№ 2), მაგრამ ცენტრალურმა მცველმა ბეგანსკიმ ფინელებთან მატჩში ვერ გაართვა თავი მოვალეობას. ამიტომ იგი შეიძლება შეცვალოს ლუდმ (ლუდვიკოვსკიმ) ან ჰერბენმა. მარცხენა მცველის პოსტზე თამაშობს ახალგაზრდა ბუშე. ნაკრების უძლიერესი რგოლია ნახევარდაცვა, სადაც თანაბარი წარმატებით შეუძლიათ თამაში მიულერს, მარსელს, ფერიესა და ლერონს. მიულერი ამჟამად უძლიერესი ფეხბურთელია ნაკრებში.

მწვრთნელმა ალბერ ბატომ უნდა გადაჭრას თავდასხმის შედგენის მეტად ძნელი ამოცანა. კოპა ამჟამად გაძლიერებით ვარჯიშობს და აუცილებლად ითამაშებს სოფიაში. ვინ იქნებიან მისი პარტნიორები? პასევანი ასახელებს ვისნესკის (№ 7), პიანტონს (№ 10) და ფავრს (№ 11), თუმცა მათ ყავთ სახიფათო მეტოქეები. ეს პირველ რიგში ითქმის უჟლაკზე და 18 წლის დი ნალოზე, რომელსაც ძალიან აქებს კოპა. კოპასაგან განსხვავებით მწვრთნელები მიიჩნევენ, რომ დი ნალო ძალზე ახალგაზრდაა ასეთი საპასუხისმგებლო მატჩისათვის. ნაკრებში თამაშის კანდიდატია აგრეთვე ფონტენიც. იგი ახლახან გამოჯანმრთელდა და 16 ოქტომბერს პირველად ითამაშა „რეიმსის“ მოყვარულთა გუნდში (ე. ი. სათადარიგო შემადგენლობაში). თუ იგი შეძლებს ამ მოკლე ხანში აღიდგინოს ფორმა, ბატოს გადაწყვეტილი აქვს მისი შეყვანა ნაკრებში. კოპას დუბლიორი ნაკრებში ამჟამად არის შულეი, რომელიც ძლიერად, მაგრამ არათანაბრად თამაშობს.

როგორც „იუმანიტეს“ მიმომხილველს მიაჩნია, ნაკრების შედგენაში არსებული ამ თვალსაჩინო სიძნელეების მიუხედავად, ფრანგებს არ უნდა გაუჭირდეთ მოგება ან ფრე სოფიაში, რაც მათ გაუხსნის „ჩილის კარებს“.

ბულგარელი მიმომხილველები ძალზე აკრიტიკებენ თავიანთი ნაკ[illegible] რების თამაშს. „სპარინგ-მატჩში[illegible] პლოვდივის „პეტროლულთან“ ბულგარელებმა ვერ გამოიყენეს კარის აღების მრავალი შესაძლებლობა, თავდამსხმელები ერთობოდნენ ბურთის ტარებით. მეკარე ნაიდენოვის გარდა, დაცვით ხაზებში ვერავინ აღმოჩნდა მოწოდებულ სიმაღლეზე. თამაშის შემდეგ გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ კორესპონდენტთან საუბარში ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გ. პაჩეჯიევმა განაცხადა, რომ 12 ნოემბრისათვის გუნდმა უნდა დაიბრუნოს საბრძოლო ფორმა. როგორც ბულგარელები იმედოვნებენ, ისინი დაამარცხებენ ფრანგებს და მაშინ, დებულების თანახმად ფინალისტის ბედა უნდა გადაწყვიტოს ნეიტრალურ მოედანზე ჩატარებულმა მატჩმა.

საჭიროა სისხლის განახლება

„ფრანგულ პროფესიონალურ ფეხბურთს სისხლის განახლება სჭირდება“ — სწერს პარიზის გაზეთის „პარი პრესის“ სპორტული მიმომხილველი. რატომ? იმიტომ, რომ დღეისათვის საფრანგეთის პროფესიონალური ფეხბურთის დეფიციტი 10 მილიონ ახალ ფრანკს შეიცავს. საფრანგეთის თითქმის ყველა ქალაქში კატასტროფულად შემცირდა მაყურებელთა რაოდენობა სტადიონებზე.

საფრანგეთში მხოლოდ 8 პროფესიონალური კლუბია, რომლებიც წარმატებით ინახავენ თავიანთ თავს. მათ შორისაა „რესინგი“, „რეიმსი“, „მონაკო“ (ამ გუნდს აფინანსებს მონაკოს პრინცი რენე) და ზოგიერთი სხვა კლუბი. დანარჩენი გუნდები კი იძულებული არიან დახმარება სთხოვონ თავიანთი ქალაქების ხელმძღვანელობას.

„პარი პრესის“ აზრით, ფრანგ ფეხბურთელებს აკლიათ „თანამედროვე სტადიონები, საერთაშორისო ვარსკვლავები და რეკლამა“. რა გამოსავალი არსებობს შექმნილი მდგომარეობიდან? გაზეთის აზრით ერთადერთი ხსნა „სისხლის განახლებაშია“. უფრო კონკრეტულად: უნდა მოხდეს მოყვარულთა და პროფესიონალური ფეხბურთის შერწყმა. მაგრამ რამდენად რეალურია ასეთი ექსპერიმენტი, ამის შესახებ გაზეთი სდუმს.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვებას — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 0119